რეზო მარნაძე[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.24

„სახლისკაცობის რიგი“ XVIII საუკუნის თუმანიშვილების სათავადოში

აბსტრაქტი. ნაშრომში შესწავლილია „სახლისკაცობის რიგის“ საკითხი ქართულ სათავადოებში, კერძოდ, თუმანიშვილების სათავადოში. საქართველოში ყველა სათავადო გვიანფეოდალურ ხანაში „სახლისკაცობის“ წესის საფუძველზე იმართებოდა. ზოგჯერ სათავადოს წევრების განქორწინების შედეგად მიწის განაწილება-გაყოფის შემდეგ, სათავადოს სხვადასხვა შტოებს შორის გარკვეული დაპირისპირება წარმოიშობოდა, რაც საფუძვლად დაედო „სახლისკაცობის“ რიგის გაუქმების პროცესს XVIII საუკუნეში. თუმანიშვილთა სათავადოში, გარკვეული შუღლის ნიადაგზე, სახლიკაცები ერთმანეთს ეცილებოდნენ არამარტო მიწასა და ქონებას, არამედ ცდილობდნენ წაერთმიათ ყმები. ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა, მიუთითებს, რომ მსგავსი ფაქტები, თუმანიშვილების სათავადოში არღვევდნენ ტრადიციულ „სახლისკაცობის“ წესსა და რიგს, ხელს უწყობდა მის გაუქმებას.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნეში თუმანიშვილების სათავადო სახლის წევრთა ურთიერთობა დამყარებული იყო ,,სახლისკაცობის რიგზე“, რომელიც არ იყო მკაცრად ორგანიზებული და ხშირად ირღვეოდა.

საკვანძო სიტყვები: თუმანიშვილები, სათავადო, XVIII საუკუნე, „სახლისკაცობის“ წესი, გაუქმება.

Rezo Marnadze[2]
Sokhumi State University

„House Man's Row“ in the principality of Tumanishvilis in the 18 st Century

The paper examines the issue of "House Man's Row" in Georgian principality, specifically, in the Tumanishvili principality. In Georgia, all principality was manage on the basis of ,,House rules“ in the late feudal era. Sometimes, As a result of the divorse of the members

[1] **რეზო მარნაძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
[2] **Rezo Marnadze** - PhD student of Sokhumi State University;

of the princely house, distribution of land created a certain controversy between the divisions, which was a abolishof the „House Man's Row“. The „House Man's Row“ was often abolished in the principality of Tumanishvilis in the XVIII Century. Based on existing documentary materials and other historical sources, we can conclude, that the relationship between the members of the princely house of Tumanishvilis was very unstable in the XVIII century.
Keywords: Tumanishvili family, „Satavado“, XVIII century, „House Man's Row“, abolition.

ძირითადი კვლევა. XV საუკუნის II ნახევარში, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, წარმოიშვა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. ამ დროიდან საქართველოში იქმნება სათავადოთა სისტემა, მათ შორის თუმანიშვილების საფეოდალო.

ცნობილია, რომ ყველა სათავადოში ფეოდალური საკუთრების სამი სახეობა იყო: 1. სახასო ანუ საერთო მამული, 2. საუფლისწულო, 3. სათავისთავო ანუ საკუთარი. საერთო მამული სათავადო სახლის გაყრის შემთხვევაში „ბარათში ნარგებად“ და „გამოყოლილად“ ითვლებოდა (გაბაშვილი, 1958: 149).

ამა თუ იმ სათავადოს მართვა-გამგეობა, ქონების განკარგვა ხორციელდებოდა „სახლის რიგის“ საფუძველზე. გ. ჯამბურიას დაკვირვებით: *,,ყველა სათავადოს თავისი „სახლის რიგი“ ანუ სახლიკაცობის რიგი და წესი“ ჰქონდა, რომელსაც მეფე ამტკიცებდა. „სახლის რიგში“ ჩამოყალიბებული იყო სახლის უფროსის (თავადის) და უფლისწულების (სახლიკაცების ანუ თავადიშვილების) უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი და სხვა“* (ჯამბურია, 1960: 108). სათავადო სახლის წევრთა გაყრის შედეგად მამულის განაწილება, ზოგჯერ განაყოფთა შორის სხვადასხვა საკითხზე დაპირისპირებას ქმნიდა, რაც „სახლის რიგის“ დარღვევა იყო. როგორც ისტორიული საბუთების შესწავლიდან ჩანს, ამ მხრივ გამონაკლისი არ იყო თუმანიშვილების სათავადო.

თუმანიშვილების სათავადო სახლის წევრთა გაყრის შემდეგ განაყოფებს შორის დავა ხშირად ხდებოდა ყმა-მამულის თაობაზე. ამ დავაში სამეფო კარი ერეოდა და სამართალს წყვეტდა. ამ მხრივ საინტერესოა ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის წლებით (1703-1711) დათარიღებული საბუთი თუმანიშვილების ყმების საქმეზე, საიდანაც ჩანს, რომ მანუჩარ თუმანიშვილი ფირანს გაყრის შემდეგ ედავება ახალდაბელ ყმას, მაგრამ ვახტანგ VI-მ დავა ფირანის სასარგებლოდ გადაწყვიტა: *,,თუმანიშვილი ფირან და მანუჩარი რომ გაყრილიყვნენ, ახალდაბას გოგებაშვილი თამაზას შვილები ფირანს რგებოდა და ბარათიცა ქონდა. მანუჩარ იმ გლეხს მიედევებოდა და იმ გლეხზედ ერთის ბარათით ლაპარაკობდა. ჩვენ ამისი მოკითხული ვქენით. მანუჩარის ბარათი ტყუილი გამოდგა. ის გლეხი ისევ ფირანს დარჩა. როგორც ის გლეხი აქანობამდის ფირანს სჭეროდეს, ისევ ფირანს დარჩეს და არც მანუჩარს ჰელი აქვს... ნურც იმის ბიძაშვილს ოთიას ძალით გაყრიან“* (ქსმ, IV, 1972: 243; დოკუმენტები.., I, 1940: 123). ვახტანგ VI-ის მიერ გამოტანილ განაჩენს

იმეორებს ერთი უთარიღო საბუთი, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი 1725-1729 წლებში ათავსებს. ეს არის ოქმი ვეზირის ქეჰ უსუფ-ბეგისა გივი ამილახორისადმი. ოქმში წერია: *,,მერმე ამ თუმანიშვილს ფირანს თავისი ძმა მანუჩარ ერთს კობლს კაცს ახალდაბას გოგებასშვილს ეცილებოდა. გავშინჯეთ, ფირანს იმ კაცის ბარათი ეჭირა. როგორც აქამდინ ფირანს ჭეროდა, ისევ ამისთვის წყალობა გვიქნია და თქვენ გაურიგეთ"* (დოკუმენტები.., I, 1940: 218-219). როგორც ჩანს, მანუჩარმა ორჯერ სცადა ფირან თუმანიშვილისთვის ყმის წართმევა.

სამამულე დავა სათავადო სახლის განაყოფთა შორის ზოგჯერ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იჩენდა თავს. 1769 წლის 28 თებერვალს ღთისავარ თუმანიშვილი თავის განაყოფს მდივან გორჯასპი თუმანიშვილს ედავებოდა ყმა-მამულზე, რომელიც გორჯასპის 45 წლის წინ ოსმალობის დროს ჰქონდა მიღებული თავისი განაყოფების მიერ. გორჯასპი მდივანი ერეკლე II-სთან ჩიოდა, საქმის გარკვევასა და მამულის შენარჩუნებას ითხოვდა (ქსძ, VII, 1981: 144-145). ამ დავას უნდა ეხებოდეს კიდევ ერთი საბუთი, საიდანაც ვიგებთ, რომ 1769 წლის 23 მარტს ერეკლე II-მ გორჯასპი და ღვთისავარ თუმანიშვილებს შორის სადავო მამული გორჯასპის დაუმტკიცა, რადგან: *,,შენის* (იგულისხმება მდივანი გორჯასპი თუმანიშვილი - **რ. მ.**) *განაყოფის აბდულაშვილის ქიშვარისშვილს ალხაზას მის ძმებს თუ რამ ყმა ჰყოლოდათ და მამული ჰქონებოდათ, ყველა შენთვის შემოევედრებინათ და მოეცათ და თითონ რუსეთს წასულიყვნენ. ქიშვარისშვილები სამნივ ძმანი: ალხაზა, საამა და ბეჟან უშვილოდ ამოწყვეტილიყვნენ, იმათი მამული ბეითალმნათ დარჩომილიყო და შენ* (გორჯასპი თუმანიშვილი - **რ. მ.**) *გეჭირა. იმის გაყრილი განაყოფი ღვთისავარა მოვიდა და იმ მამულს წამოგედავა. ჩვენ ამის მოკითხული ვქენით, სწორეთ შევიტყევით, აბდულასშვილებიდამ ღვთისავარას მამა-პაპა გაყრილი ყოფილიყვნენ და რადგან ამოწყვეტილის კაცის მამული იყო, ბეითალმანი იქნებოდა... გიბოძეთ და წყალობა გიყავით შენის განაყოფის აბდულანთ ქიშვარისშვილის ალხაზასი და მისის ძმების მამული, რისაც მქონებელი ყოფილან ხელთუბანს და ზემო რეხას, რაც ყმა და მამული ჰქონებიათ, სასახლის ალაგი თავსი ქვევრ-მარნითა, ნაზვრევი, ხოდაბუნი, წყალი, წისქვილი, სახნავ-უხნავი, სათიბი, უთიბი, ყოველი ამათი ნაქონი ყმა და მამული, რაც არის შენთვის და შვილთა შენთათვის გვიბოძებია"* (სს, III, 1910: 170-171).

ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება თუმანიშვილთა სახლისკაცებს შორის ახალდაბის (სოფ. გორის რ-ნში - **რ. მ.**) მამულზე დავა. ეს ნათლად ჩანს 1783 წლის არზიდან, რომელშიც გიორგი თუმანიშვილი აღნიშნავს: *,,ახალდაბას ერთი კომლი გლეხი კაცი ჩემი ყმა ამოვარდა და აღარავინ არ დარჩა და იმის მკვიდრი ფირბებაული ნაქონი მიწა, ხუთი დღისა მიწა, ჩემმა განაყოფმა კაცუამ წამართავა და სჭამს...ჩემი განაყოფი ამას მეუბნება, რომ ჩემი გლეხის კაცისა არისო. ღმერთი გადღეგრძელებთ, ახალდაბელს უფროს კაცებს აფიცეთ და ვისიც ყოფილა და*

ან სჭერია, ისინი მოგახსენებენ“ (ქსძ, VII, 1981: 586).

სოფელ ახალდაბის მამულების მითვისების გამო დავა დასტურდება ამჯერად გოგია და კაცია თუმანიშვილების გაყრის შემდეგ. კერძოდ, 1788 წლის 10 ნოემბრით დათარიღებულ არზაში გოგია თუმანიშვილის მამულის თაობაზე ვკითხულობთ: *,,ჩემმა განაყოფმა კაციამ ახალდაბას მიწები წამართვა და...იასაული გვიბოძეთ, რომ რაც ამ ჩემს განაყოფს კაციას ჩემთვის მიწები წაერთმიოს, ხელი აუმართოს და ჩემი მიწები და ან რაც ღალა ეღოს ჩემს მამულშია, ისიც გამამირთვას და მე მამებაროს“* (ქსძ, VII, 1981: 781).

თუმანიშვილთა სახლისკაცებს ,,თუმანიშვილს ფარსია შვილს ბირთველს“ და მის ,,სახლისკაცს ელიზბარიშვილს ელიზბარს და იოვანეს“ შორის ყმა-მამულზე დავას ადასტურებს 1800 წლის 12 მარტის საბუთი. განჩინების მიხედვით, სადავო ყმა ტერმაკოზაშვილი მელქუაშვილი დავითა, რომელიც ბირთველს ,,ეჭირა“ სასამართლოზე წარმოდგენილი საბუთის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ელიზბარ და იოვანეს სამკვიდრო ყმა იყო. იგი თუმანიშვილ ელიზბარს და ივანეს დარჩა, მისი ნაფუზარი კი ბირთველს და მის ძმებს, რადგან *,,ბირთველის მამას გიორგის მრავალი ღვაწლის დადება ჰქონია ელისბარის საკერძო მამულზედ... არც თითვანთ* (ელიზბარ და იოვანე თუმანიშვილემა - რ. მ.) *უარი ჰყვეს“.* განჩინებაში მოხსენიებული სადავო მამული - „ზეთანის“ მიწების ნახევარი ბირთველს და მის ძმებს ერგო, ხოლო ნახევარი ელიზბარსა და იოვანეს. აგრეთვე, აზომეს და გაიყვეს სასახლის წინ არსებული ყველა კალო-საბძლის ადგილი და გლეხების ნასახლარები (ქსძ, VI, 1977: 165-169).

ყველა სათავადოში იყო ფეოდალური საკუთრების ერთ-ერთი სახეობა „სათავისთავო“ (გაბაშვილი, 1958: 149). თუმანიშვილების სათავადოში გვხდება შემთხვევები, როცა „სათავისთავო“ ქონების გაზრდა ხდებოდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი სახლისკაცის მამულის მითვისებითაც. ეს სუსტი სახლისკაცების უფლებების შელახვა იყო. ასეთ შემთხვევაში ქონებაწართმეული მხარე სამეფო ხელისუფლებას მიმართავდა დახმარებისთვის. მაგალითად, თუმანიშვილის საგვარეულოს ქვრივი „ნაზირის იოვანეს და მაია“ 1790 წელს დარეჯან დედოფალს არზით მიმართავდა, რომ ქმრის წილი ყმა-მამული მაზლებმა მიითვისეს და უკან დაბრუნებას ითხოვდა. აღნიშნულ საქმეზე დარეჯან დედოფალმა ბრძანა: *,,თუმანიშვილო ნიკოლოზ! შენს რძალს ეს არზა ასე რომ მოუცია, ჩვენ ამას გწერთ რომ.-..სულხან მდივნის მოსვლამდინ შენ უნდა კარგად თვალყური მიაპყრო, გააძლეგინო და თავისი წილი ყმა და მამული უნდა მოხმარდეს და იმან არჩინოს“* (ქსძ, VIII, 1985: 53-54).

ხანგრძლივი დავა იყო ქონების გაყოფაზე თუმანიშვილ ეგნატესა და მის

ბიძას - პაპუას შორის. აღსანიშნავია, რომ ეგნატეს[3] ჩაგრავდა ბიძამისი. 1787 წლის 16 აპრილის არზით, ეგნატე თუმანიშვილი ბიძამისს ყმა-მამულის წილს ედავება: *,,ყმა და მამული ცხებულისა და ნეტარად ხსენებულის ბატონისაგან ნაბოძები გვაქვს და თქვენგანცა, რომ იმ წყალობის წიგნში ორნივ ვწერივართ და მე უწილოთ გამომიყვანა...თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ქვეყანამაც იცის, რისაც შემძლებელი იყო და ან ახლა არის* (პაპუა თუმანიშვილი **- რ. მ.**), *რომ იქიდამ ერთი ფული არ მოუცია"* (ქსმ, VII, 1981: 718-719). 1787 წლის 15 ნოემბრის არზით ეგნატე თუმანიშვილი ბიძამისს ედავება თავის წილ ყმა-მამულს, სთხოვს ვალის დაბრუნებას, ქონების გამჭვირვალედ განკარგვას, ასევე მამულის გამოსაღებიდან წილს, რომელსაც 15 წელი არ აძლევდა ბიძა, პაპუა თუმანიშვილი (ქსმ, VII, 1981: 743-744).

საინტერესოა ამ არზიდან სამი დღის შემდეგ 1787 წლის 18 ნოემბერს შედგენილი დოკუმენტი, საიდანაც ვიგებთ, რომ ეგნატე თუმანიშვილი და ბიძამისი პაპუა გაიყარნენ და ქონება შუაზე გაიყვეს: *,,მათს უმაღლესობას მათის მონათათვის რომ ეგნატე მდივნისა და ამისი ბიძის პაპუასი თეთრისა და ქონებისა სამართალი ებძანებინა, ამ ქალაქში ეს სამართალი გვაქვს განწესებული, რომ: რისაც მქონებელნი არიან ამ თარიღში, რომ იყრებიან, შუა უნდა გაიყონ. რაც ამისი წინათ პაპუას ან ეგნატეს თავიანთ საერთო თეთრიდამ დაუხარჯავთ, ის აღარ იხსენება. რადგან დღეს იყრებიან, რაცა აქვსთ პაპუასთ თუ ეგნატეს - ნაღდეული თუ ჯინსეული, ვალი თუ ასაღები - ორისავე საერთო არის, შუა უნდა გაიყონ. შინ თუ გასათხოვარი ქალი ჰყავსთ, ზითევი ერგება. და თუ მოსწრებული ვაჟიშვილი ჰყავსთ, საქორწილო ერგება თავიანთ ქონების მიხედვით. და უფროსს ძმას მამულიდამ საუფროსო ერგება"* (ქსმ, V, 1974: 386-387). ამ დოკუმენტის საფუძველზე შედგენილია 1787 წლის 27 ნოემბრის ,,განჩინება პაპუა და ეგნატე თუმანიშვილების გაყრის საქმეზე". მასში აღწერილი და დაანგარიშებულია პაპუა და ეგნატე თუმანიშვილების ქონება „თეთრეული" ანუ ფული და ვალები, რომელიც გაიყვეს (ქსმ, V, 1974: 387-393).

როგორც ირკვევა, ქონებაზე დავა რამდენიმე დღის შემდეგ გააგრძელა ეგნატე თუმანიშვილმა და 1787 წლის 2 დეკემბერს არზით მიმართა ერეკლე II-ს, რომ მასსა და ბიძამისს შორის „თეთრით ნასყიდი" ანუ ფულით შენაძენი ქონება და ავეჯი გაყოფილიყო (ქსმ, VII, 1981: 746).

აღსანიშნავია, რომ გაყრის მიუხედავად ეგნატეს ბიძამისი მამულის გამოსაღებს არ აძლევდა. 1788 წლის 1 ივლისის დოკუმენტში ეგნატე თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ მისი წილი ყმა-მამული პაპუა თუმანიშვილს 16 წელია უჭირავს და ისევ ითხოვს ამ ხნის განმავლობაში სადავო მამულიდან აღებული ღალის და-

[3] ეგნატე მამით ობოლი იყო.

ბრუნებას. საბუთში რამდენიმე ადამიანი აღნიშნავს მამულიდან მიღებულ მოსავალს და გაცემული ღალის რაოდენობას (ქსმ, VII, 1981: 767-769).

ქონებრივი დავის გაგრძელებას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული კიდევ ერთი საბუთი, 1794 წლის 1 ივნისს შედგენილი ,,განჩინება პაპუა და ეგნატე თუმანიშვილების გაყრის საქმეზე", რომელშიც წერია: *,,თუმანიშვილი პაპუა და თავისი ძმისწული ეგნატე გაყრილიყვნენ* (იგულისხმება ზემოთ ნახსენები 1787 წლის 27 ნოემბრის განჩინება - **რ. მ.**) *და მას უკან რაც სალაპარაკო დარჩომოდათ... ისინიც ახლა გაგვირიგებია და ამას ქვეით თვითეულად გამოგვიცხადებია... სასახლის ადგილზე კოშკზე კიდევ ლაპარაკობდენ. ამისი, როგორც ჩვენს მიცემულს პირველ განაჩენში როგორც დაგვიწერია და გაგვირჩევია, ისე უნდა იქმნას... ხარეგის საყდრის უბანში რომ სახლი აქვსთ, ის სახლი უწინვე ეგნატემ თავისი ნებით ოთხმოც თუმნად საშუალოდამ აიღო. ამისი ორმოცი თუმანი ხომ ეგნატესია და პაპუას თავისი წილი ორმოცი თუმანი ეგნატესაგან ასე უნდა მიეცეს: ოცი თუმანი დღესვე უნდა მისცეს და ოცი თუმანი ამ განჩინების რიცხვიდან ორს წელიწადში უნდა მისცეს... და თუ ამ ვადას გადააცილებს ეგნატე, მასუკან მიცემამდინ ეს ოცი თუმანი სარგებლით უნდა მისცეს. და პაპუას რაც სახლის გაკეთებაზე დაუხარჯავს, ის ოსტატს აჩვენონ და რასაც სამართლიანს ხარჯს ოსტატი იტყვის, ისიც ეგნატემ დღესვე უნდა მისცეს და პაპუამ სახლები ეგნატეს დაანებოს... სუფრაჯიანთ უბანში რომ ქოხების ადგილი აქვსთ... იმ ადგილისა ერთი წილი ეგნატეს უნდა მიეცეს და ორი წილი პაპუას.... ქალი ეგნატეს რომ მოახლეთ შეუყვანია, იმისი ასე უნდა იქმნას: თუ ეგნატეს უნდოდეს, ის მოახლე პაპუას მისცეს და იმის სამაგიეროთ ოთხი თუმანი თავის წილათ პაპუას გამოართოს. და თუ არა, რადგანაც მოახლე ეგნატესა ჰყავს, ისევ იმასვე ჰყვანდეს და იმის სამაგიეროთ ეგნატემ პაპუას თავის წილისათვის სამი თუმანი მისცეს.... სალაპარაკო სახლის ავეჯეულობისა და პირუტყვისა ასე უნდა იქმნას: ...რაც პირუტყვი უწინ გაუყვიათ, იმაში ერთმანეთთან, არც იმ პირუტყვთან და არც იმის ნაშენთან და არც იმის ნაშენით ნასყიდთან საქმე არა აქვსთ და თავ-თავისი არის. და ასრეთვე სახლის ავეჯულობისა, რაც გაეყოთ ხომ გაეყოთ და რაც დარჩომილიყო, ორივე მხარეს ცალ-ცალკე სია დაგვიწერია... რაც საოჯახო წიგნებია თუ მამულისა თუ სახელოსი და თუ ბარათი, იმისი ასე უნდა იქმნას: რომელიც მამულები და გლეხი გაუყვიათ, ვის რომელიც რგებია გლეხი და მამული, იმისი ბარათი და წიგნი თავ-თავისთვის უნდა ჰქონდესთ. და რომელიც ასეთი წიგნია, რომ საერთო და საოჯახო არის, ან მამულისა, ან სახელოსი და ან საერთო მამულისა, იმისი გაყოფა ხომ არ იქნება. ის წიგნები პაპუას უნდა ჰქონდეს და იმ წიგნების პირი ნუსხათ უნდა გადმოიღოს და ზედ პაპუამ ხელი მოაწეროს, რომ ეს წიგნები მე მაქვს და როცა საჭირო და სახმარი იყოს, გამოვიტანო. და ის ხელმოწერილი ნუსხა ეგნატეს უნდა მისცეს, რომ იმას*

ჰქონდეს.[4] *ესენი* (პაპუა და ეგნატე თუმანიშვილები - **რ. მ.**) *ერთმანერთთან ასე გავაშველეთ რომ სალაპარაკო და სადაო აღარა აქვსთ რა"*(ქსმ, V, 1974: 639-642).

აღსანიშნავია, რომ თუმანიშვილების სათავადოში დასტურდება, როგორც ყმა-მამულის, ასევე ფეოდალური ნატურალური რენტის ძალით მითვისების ფაქტები, რაც დავის საგანი ხდებოდა. საინტერესოა, რომ პაპუა და ეგნატე თუმანიშვილები (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ერთმანეთში ჰქონდათ დავა გამოსაღებზეც), გაყრიდან რამდენიმე წლის შემდეგ 1792 წლის 9 აგვისტოს უჩიოდნენ ნიკოლოზ თუმანიშვილს სოფ. რეხის და ახალდაბის მამულებიდან ღალის მიტაცებას და აღებული ღალის უკან დაბრუნებას ითხოვდნენ: *,,მერე რეხას ჩვენი* (თუმანიშვილი პაპუა და ეგნატი - **რ. მ.**) *ყმის მიწიდამ თუმანიშვილს ნიკოლაოზს ღალა მოუტაცნია და წაუღია. მამები გადიცვალნენ და არავის უდავნია. ჩვენ თითქმის დავბერდით და არავინ წამოგვდავებია. ამ წყალობას ვითხოვთ... საიდამაც ჩვენის მიწებიდან ან რეხიდამ და ან ახალდაბიდამ ღალა წაეღოს და მოეტაცნოს, ის უკლებრათ გამოგვირთვას და მოგვცეს...მოტაცებითა და მძლავრობით რათ უნდა მოქმედებდეს'"*(ქსმ, VIII, 1985: 168).

განაყოფებს შორის ღალაზე დავა დასტურდება უფრო ადრინდელი საბუთითაც მაგ. 1758 წლის 18 ივლისს მდივანი ედიშერ თუმანიშვილი თავის ძმისწულს წერდა: ,,ძმის წულო კაცუავ! *მერმე-მერმე ბეჟანს, ვარდუანს რაც თავისი წილი იყოს, ღალა მიეც, რას ალაპარაკებ?"* (სს, III, 1910: 428).

სამამულე გამოსაღების მითვისებაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ მანუჩარ და ნიკოლოზ თუმანიშვილები. 1789 წლის 29 აგვისტოს შედგენილი არზის მიხედვით, მანუჩარ თუმანიშვილი ბიძაშვილს ნიკოლოზს ერეკლე II-სთან უჩიოდა თავისი გლეხებისთვის 5 ურემი პურის წართმევისა და გაყიდვის გამო. მანუჩარი ითხოვდა ნაქურდალის უკან დაბრუნებას (სს, III, 1910: 526-527). ამ დავას ეხება ამავე წლის 16 სექტემბერის არზა, რომლითაც პირიქით ნიკოლოზი მანუჩარ თუმანიშვილს უჩიოდა და წერდა: *,,მანუჩარ მდივანს (თუმანიშვილს - **რ. მ.**) ოქმი აუღია პეტრე ავალიშვილზედ: ხუთი ურემი პური წაართვი და მანუჩარს მოაბარეო... თუ მემართა, თამასუქი ექნება და მიჩვენოს, თუ მოვპარე, მთხრობელი ეყოლება, თუ ყმებს წავართვი ცოცხლები გახლავან, დაიბარეთ და მოგახსენონ. თუ საბუთი მიყონ, წამართვი და უბოძეთ. თუ არადა, ამდენი ტყუილად ჩემი ტანჯვა თქვენთან დაკვლა მოიკითხეთ, ერთს სნეულს კაცს რათ მტანჯავს და*

[4]საოჯახო წიგნებზე დავა განახლდა, კერძოდ 1798 წ. 1 აგვისტოს არზით ეგნატე თუმანიშვილი ახლა ბიძაშვილს ედავება თავის წილ საოჯახო წიგნებს - ყმა-მამულის თუ მეფეთა წყალობის სიგელებს. ჩივის, რომ მისთვის ერთი წიგნიც არ მიუციათ, დაუმალეს. ეგნატე ამბობს რომ, ბიძამისის სახლში წიგნებით სავსე ზანდუკი იყო. ის ზანდუკი მოწმის თანდასწრებით გახსნა და ნახევრად ცარიელი დახვდა, რომელშიც 280 წიგნი დათვალა (იხ: ქსმ, VIII, 1985: 482).

თქვენთვის თავს მაწყენინებს“. ერეკლე II-ის ბრძანებით, მათ სასამართლოში პირისპირ უნდა ელაპარაკათ (ქსმ, VIII, 1985: 19-20).

იყო შემთხვევები, როცა თუმანიშვილთა შორის გარკვეული უთანხმოება ფიზიკური დაპირისპირებითაც მიმდინარეობდა. მაგალითად, 1703-1724 წწ. საბუთის მიხედვით: *„თუმანიშვილებს მანუჩარს და ბირთველს ჩხუბი გამორეოდათ დახიზვნის საქმეზედ. ბირთველს ბატონის ოქმი ქონოდა, მოყადაღე ყოფილიყო, ჴელთუბნიდამ ნურავის აყრიო. მანუჩარს სახიზრად რაგინდარა მიყოლებოდა, ბირთველს ის არ დაენებებინა, ერთმანეთისათვის ბევრი ეცათ. ამ ცემაშიდ მანუჩარს ბირთველისთვის ორთითი დაეკრა და თავი დიაღ ძალიან გაეტეხნა. მანუჩარსაც ჴელი ნატკენი ქონდა. რადგან ბირთველი ჩვენი მოყადაღე იყო, მანუჩარ არ უნდა შესარჩლებოდა“* (ქსმ, IV, 1972: 301-302).

თუმანიშვილთა სახლისკაცები ერთმანეთში გარკვეული შუღლის ნიადაგზე ცდილობდნენ წაერთმიათ ყმები. მაგ. ყმის თაობაზე ბირთველ თუმანიშვილი 1792 წლის 18 ივნისის არზით თავის სახლიკაცს გიორგი ბატონიშვილთან უჩიოდა: *„ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს მათს მონას თუმანის შვილს ბირთველს. მერმე ამას წინა წელიწადებში ერთი გარდმოვარდნილი იმერელი მეყმო და წიგნიც მომცა ყმობისა. ჩემი სახლის კაცი გიორგი ასანას-შვილი შეადგა ჩემის მტრობით და ეს იმერელი...თავისთვის მოინდომა“* (დოკუმენტები.., II, 1953: 166).

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნეში თუმანიშვილების სათავადო სახლის წევრთა ურთიერთობა დამყარებული იყო „სახლისკაცობის რიგზე“, რომელიც არ იყო მკაცრად ორგანიზებული და ხშირად ირღვევოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

***გაბაშვილი* (1958):** ვალერიან გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი;

დოკუმენტები.., I, (1940): დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი;

დოკუმენტები.., II, (1953): დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი;

სს, III, (1910): *საქართველოს სიძველენი,* ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III, ტფილისი;

ქსძ, IV, (1972): *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ. IV, *სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.),* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი;

ქსძ, V, (1974): ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი;

ქსძ, VI, (1977): ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი;

ქსძ, VII, (1981): ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, *სასამართლო არზა-ოქმები,* ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი;

ქსძ, VIII, (1985): *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. VIII, *სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები.* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი;

ჯამბურია (1960): გივი ჯამბურია, დოკუმენტები ქართლის სათავადოების ისტორიისთვის XVII-XVIII სს., - *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის,* ნაკვ. 33. თბილისი;